სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №35/2302
კლასიფიკატორის კოდი: 50100000

ქ. თბილისი **31. მარტი. 2023 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა** (ს/ნ: 205329697) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნიკოლოზ მელქაძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა" (ს/ნ: 405006461), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მარიამ მელიაშვილის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემყიდველის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (ა/მ „ტოიოტა კოროლა, გამოშვების წელი 2021, სახ.№MM573OM) ტექნიკური მომსახურების გაწევა დანართი №1-ით (პრეისკურანტი) გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალების გამოყენებით. დანართი №1 თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
(CPVკოდი 50110000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (შემდეგომში ,,მომსახურება").
1.1. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, 2023 წლის სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარს.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
2.3. ერთჯერადი მომსახურების ფასი მოცემულია შესასრულებელი სამუშაოს აქტში.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **მიხეილ თოფურია/ლოგისტიკისა და შესყიდვების მენეჯერი და ელიზბარ ამისულაშვილი/დასაქმებული შრომითი ხელშეკრულებით.**
4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია – უნივერსიტეტის ქუჩა N6.
5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრამდე.**

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
ქ. თბილისი; . ჭონქაძეს 20
საქართველოს ეროვნული ბანკი
სახელმწიფო ხაზინა

ს/ნ:205329697

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

lepl defence institution building school

Digitally signed by lepl defence institution building school
DN: cn=lepl defence institution building school, 2.5.4.97=NTRGE-205329697, o=····· ····· ·····